საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №40/ნ
2023 წლის 31 მაისი

ქ. თბილისი

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურსცენტრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №31 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურსცენტრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №31 ბრძანებით (სსმ III, 23.01.2006, №8, მუხ. 78) დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „$მ^1$“ ქვეპუნქტი:

,,$მ^1$) ვალდებულია საჯარო სკოლის დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლის წარმოშობის შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაცია გონივრულ ვადაში წარუდგინოს სამინისტროს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით, საჯარო სკოლის დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების შეწყვეტის მიზნით;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი — **გიორგი ამილახვარი**